# შიდა ქართლის გუბერნატორი იმერეთის ქუჩის მოსახელობის საჭიროებებს გაეცნო

11 ოქტომბერი 2018

შიდა ქართლის გუბერნატორი ხაშურში იმყოფებოდა და მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მოსახლეობის საჭიროებებს ადგილზე გაეცნო. დაათვალიერა ხაშურის №7 საჯარო სკოლა, გაესაუბრა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. ასევე, შეხვდა იმერეთის ქუჩის მოსახლობას. აღნიშნული ქუჩის მაცხოვრებლებს წლებია უამინდობისა და უხვი ნალექის მოვსლის დროს მდინარე შოლა საფრთხეს უქმნის. გუბერნატორის თქმით, გაიწმინდება კალაპოტი და საკითხი ეტაპობრივად მოგვარდება.